საბაზო პროფესიული უნარების ტესტი

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხებიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 37 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 45.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხებიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 1

მეტაკოგნიტური უნარების განვითარება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაშია **ყველაზე ზუსტად** გადმოცემული მეტაკოგნიციის არსი?

ა) მეტაკოგნიცია გულისხმობს მოსწავლის მიერ სწავლის პროცესში დაშვებული საკუთარი შეცდომების აღიარებას.

ბ) მეტაკოგნიცია გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი პიროვნული თვისებების შეცნობასა და გაანალიზებას.

გ) მეტაკოგნიცია გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი სააზროვნო პროცესებისა და სწავლის შესახებ წარმოდგენების შექმნას.

დ) მეტაკოგნიცია გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და მიღებული შეფასებების მუდმივ კონტროლს.

დავალება N 2

მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის დროს იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს, იყენებს როგორც ღია, ასევე დახურულ შეკითხვებს.

დახურული შეკითხვების დასმა მიზანშეწონილია, როდესაც:

ა) მასწავლებელს სურს, მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ შესასწავლი მასალა, ახალ ინფორმაციას დაუკავშირონ უკვე ნასწავლი.

ბ) მასწავლებელს სურს, შეაფასოს მოსწავლეების ცოდნა, მათ მიერ მოპოვებული კონკრეტული ფაქტების, ინფორმაციის სისწორე.

გ) მასწავლებელს სურს, მოსწავლეებმა დაიწყონ მსჯელობა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ცდილობს, წაახალისოს მათი აქტიურობა.

დ) მასწავლებელს სურს, მოსწავლეებმა გააანალიზონ და კრიტიკულად შეაფასონ ინფორმაცია, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 3

მოსწავლის ეფექტიანი სწავლებისათვის მნიშვნელოვანია მშობლის როლის გაძლიერება, რასაც ხელს უწყობს მასწავლებელსა და მშობელს შორის ეფექტიანი კომუნიკაცია.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის მიერ მშობლისათვის ინფორმაციის მიწოდების რომელი ფორმაა მართებული?

ა) „ვატყობ, რომ თქვენს შვილს არ აინტერესებს ჩემი საგანი, თუმცა სხვა საგნის მასწავლებლები მას აქებენ“.

ბ) „დამეხმარეთ, რომ თქვენი შვილის კომპიუტერით დაინტერესება მისთვის სასარგებლო რესურსად გამოვიყენოთ“.

გ) „თქვენი შვილი კლასში აგრესიულად იქცევა და ვფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა, სკოლის ფსიქოლოგს გასაუბრებოდით“.

დ) „ძალიან მინდა, რომ თქვენს შვილთან დამატებით ვიმუშაო, რათა თანაკლასელებივით მაღალი აკადემიური მიღწევები ჰქონდეს“.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 4

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა ასახავს დიფერენცირებულ სწავლებას?

ა) საკლასო აქტივობები ზედმიწევნით ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და შედეგებს.

ბ) აქტივობები კლასში შერჩეულია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, მათი უმრავლესობის ინტერესების შესაბამისად.

გ) კლასში სხვადასხვა მოსწავლესთან ან მცირე ჯგუფთან გამოიყენება განსხვავებული აქტივობები, მეთოდები და რესურსი.

დ) საერთო საკლასო აქტივობები მორგებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობებზე.

დავალება N 5

კვლევებით დასტურდება, რომ მოსწავლეთა აკადემიური წარმატება მჭიდრო კავშირშია შინაგან მოტივაციასთან. გარეგანი მოტივაციის მქონე მოსწავლესაც შეიძლება ჰქონდეს მაღალი აკადემიური მიღწევები, მაგრამ ამ შემთხვევაში მამოტივირებელი სხვა ფაქტორებია.

ჩამოთვლილთაგან რომელი მოსწავლის/მოსწავლეების ქცევას განაპირობებს გარეგანი მოტივაცია?

I. მოსწავლის მიზანია ძალისა და ენერგიის მინიმალური დანახარჯით მაქსიმალური ეფექტის მიღება - ის უფრთხის შეცდომის დაშვებას და თავს არიდებს რისკს.

II. მოსწავლის მიზანია სწავლა - ის რთულ ამოცანებთან შეჭიდების დროს მუდმივად არის დაძლევის ახალი გზების ძიებაში.

III. მოსწავლის მიზანია სიღრმისეული ცოდნის მიღება - ის მუდამ პასუხისმგებლობით ეკიდება სწავლას.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 6

მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა ტექსტი, რომელიც კლიმატური ცვლილებებით გამოწვეულ ბუნებრივ კატასტროფებს ეხებოდა. ამის შემდეგ დაურიგა კითხვარი და დაავალა მისი შევსება ტექსტზე დაყრდნობით.

ჩამოთვლილთაგან რომელია ის შეკითხვა, რომელზე პასუხიც მოსწავლისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას?

ა) როგორ ფიქრობთ, რატომ აისახება კატასტროფები განსხვავებულად ქალსა და კაცზე?

ბ) ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეულ რომელი ტიპის კატასტროფებს გაეცანით?

გ) რომელი ბუნებრივი მოვლენები იწვევს წყალდიდობის საშიშროებას?

დ) კატასტროფების რისკის შემცირების რა გამოცდილება არსებობს?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 7

მასწავლებლები კითხვის დასმისას ხშირად უშვებენ ისეთ შეცდომებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის ეფექტიანობაზე.

ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში ჩანს, რომ მასწავლებელი კითხვის დასმის პროცესს ეფექტიანად წარმართავს?

ა) მასწავლებელი ყველა ხერხით ცდილობს, მიიყვანოს მოსწავლეები მის მიერ წინასწარ მოაზრებულ სწორ პასუხამდე.

ბ) მასწავლებელი მუდმივად სვამს ღია კითხვებს და ამით ამოწმებს, თუ რა ცოდნა შეიძინეს მოსწავლეებმა და როგორ იყენებენ მას.

გ) მასწავლებელი დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად კითხვის ადრესატს წინასწარ ასახელებს და მხოლოდ ამის შემდეგ სვამს შეკითხვას.

დ) მასწავლებელი ახალ კითხვებს მოსწავლეთა პასუხებზე აგებს და არ შემოიფარგლება მხოლოდ გაკვეთილისათვის წინასწარ მომზადებული შეკითხვებით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 8

ჩამოთვლილთაგან რა უპირატესობა/უპირატესობები აქვს კლასის მართვის პროცესში მოსწავლეებზე პასუხისმგებლობის დელეგირებას?

I. მასწავლებელი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე და ოპერატიულად აგვარებს კლასში წარმოშობილ დისციპლინის პრობლემას.

II. მოსწავლეებს უვითარდებათ სოციალური უნარები და თავისთავად იკლებს აგრესიული ქცევის გამოვლენის ალბათობა.

III. მოსწავლეებს უვითარდებათ თვითდისციპლინის უნარი და მას ავლენენ მაშინაც, როცა ქცევის გარეგანი რეგულაციები არ არსებობს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

დავალება N 9

მასწავლებელმა მოსწავლეებს რამდენიმესაფეხურიანი დავალება მისცა. სსსმ მოსწავლეს უჭირს ინსტრუქციის მიყოლა და ხშირად ეკითხება მასწავლებელს: „ახლა რა უნდა გავაკეთო?“, რაც თანაკლასელების უკმაყოფილებას იწვევს.

რომელი ქმედებით შეძლებს მასწავლებელი დაეხმაროს სსსმ მოსწავლეს პრობლემის დაძლევაში?

ა) მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს წერილობითი ინსტრუქცია და დავალებაზე წყვილებში ამუშაოს.

ბ) მასწავლებელმა ერთ-ერთ წარმატებულ მოსწავლეს დაავალოს, უპასუხოს სსსმ მოსწავლის მიერ დასმულ კითხვებს.

გ) მასწავლებელმა სსსმ მოსწავლე წინასწარ უნდა გააფრთხილოს, ზედმიწევნით ყურადღებით მოისმინოს ინსტრუქცია.

დ) მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა სთხოვოს, თვითონ გაიხსენოს ინსტრუქცია, რათა თანაკლასელებს ხელი არ შეუშალოს.

დავალება N 10

დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა მიმართ ხშირად მასწავლებლები ნაკლებ მოლოდინებს ავლენენ. მოსწავლის მიმართ მასწავლებლის ასეთი მოლოდინი:

ა) **გამართლებულია,** რადგან მოსწავლე შეასრულებს უფრო მარტივ დავალებებს, რაც მას წარმატების მიღწევას გაუადვილებს.

ბ) **გამართლებული არ არის,** რადგან მასწავლებლის მოლოდინები უნდა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურის დასაძლევ შედეგებს.

გ) **გამართლებულია,** რადგან მოსწავლეს ჩამოუყალიბდება ადეკვატური თვითშეფასება და აღარ შეუქმნის საკუთარ თავს წარუმატებლობის საფრთხეს.

დ) **გამართლებული არ არის,** რადგან მასწავლებლის ასეთი მოლოდინი მოსწავლეს უბიძგებს პასიურობისაკენ და ის ნაკლებად გამოავლენს ძალისხმევას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 11

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ინტერაქტიული მეთოდია, რომელიც მრავალმხრივ სამუშაოში მოსწავლეთა მაღალ თანამშრომლობით ჩართულობას მოითხოვს. პროექტული სწავლების გზით მოსწავლეებს შეუძლიათ კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამას გარდა, მოსწავლეებს ეძლევათ კომუნიკაციური უნარების დახვეწის შესაძლებლობა.

ჩამოთვლილთაგან პროექტზე მუშაობასთან დაკავშირებით გამოთქმული რომელი მოსაზრება/მოსაზრებებია მართებული?

I. სასწავლო პროექტის შედეგების მისაღწევად გათვალისწინებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს ვადები.

II. სასწავლო პროექტის თემა უნდა შეარჩიოს, დაგეგმოს და მართოს მასწავლებელმა, მოსწავლემ კი ზედმიწევნით უნდა შეასრულოს მისი მითითებები.

III. პროექტი უნდა დაიგეგმოს პრაქტიკული საქმიანობისათვის, დაგეგმილი აქტივობები უნდა ემსახურებოდეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 12

მე-8 კლასში ბიოლოგიის მასწავლებელმა სისხლის მიმოქცევის სისტემის სწავლება დაასრულა, თუმცა გამოკითხვისას შეამჩნია, რომ ნასწავლი თემის შესახებ მოსწავლეებს ძალიან ცოტა რამ ახსოვდათ. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მასწავლებელმა გადაწყვიტა, გამოეყენებინა მეთოდი - პროცესის გათამაშება. მან სთხოვა მოსწავლეების ერთ ჯგუფს, განესახიერებინათ სისხლის მოძრაობა, დანარჩენებს კი იმ ორგანოების ფუნქცია შეესრულებინათ, რომლებიც სისხლიდან იღებენ ან გადასცემენ მას სხვადასხვა ნივთიერებას.

მასწავლებლის აქტივობა მიზნის:

ა) **ადეკვატურია,** რადგან გათამაშება ეხმარება მოსწავლეებს მასალის დეტალების აღქმასა და მათ ხანგრძლივად დამახსოვრებაში.

ბ) **ადეკვატური არ არის,** რადგან გათამაშების მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მხოლოდ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან.

გ) **ადეკვატურია,** რადგან გათამაშება ხელს უწყობს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განტვირთვას და ამაღლებს მათი სწავლის მოტივაციას.

დ) **ადეკვატური არ არის,** რადგან გათამაშება ეფექტიანია მხოლოდ მოსწავლის სოციალური უნარების და არა მეხსიერების განვითარებისთვის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 13

სასწავლო პროცესში სავალდებულოა, მასწავლებელი იცავდეს შეფასების ძირითად პრინციპებს: სანდოობას, ვალიდობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა აღწერს შეფასების ვალიდობას?

ა) მოსწავლეები თავად იღებენ მონაწილეობას კრიტერიუმების განსაზღვრასა და შეფასების სქემის შემუშავებაში.

ბ) შეფასების შედეგები იდენტურია, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების მექანიზმს იყენებს სხვადასხვა მასწავლებელი.

გ) შეფასების მექანიზმი და კრიტერიუმები ცნობილია მოსწავლეთათვის, მათ იციან ყველა დავალების მაქსიმალური ქულა.

დ) შეფასება დასახულ მიზანს ემსახურება, მასწავლებელი ამ მექანიზმით ამოწმებს იმას, რისი შემოწმებაც აქვს განსაზღვრული.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 14

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა/რჩევები უნდა გაითვალისწინოს მაწავლებელმა მოსწავლეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად?

I. როდესაც მოსწავლეებს გადასცემთ რაიმე ინფორმაციას, შეეცადეთ, ის იყოს კარგად ორგანიზებული, გამოყავით ძირითადი იდეები, რათა მოსწავლისათვის უფრო თვალსაჩინო და ნათელი იყოს თქვენი სათქმელი.

II. შეეცადეთ, გაამდიდროთ თქვენი მეტყველება უფრო რთული მეცნიერული ტერმინებით, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მოსწავლეთა ცოდნის დონის, არამედ თქვენი, როგორც ინტელექტუალის იმიჯის ამაღლებასაც.

III. ყოველთვის ყურადღებით მოუსმინეთ მოსწავლეს, შეეცადეთ, გაითავისოთ მისი პოზიცია, შეგიძლიათ დაუსვათ დამაზუსტებელი შეკითხვები, რაც ხაზს გაუსვამს თქვენს ჩართულობას ამ პროცესში.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 15

„ამ სტრატეგიის გამოყენება საშუალებას აძლევს მხარეებს, გადაანაწილონ ძალები და ერთობლივად მიაღწიონ დასახულ მიზანს ისე, რომ ნაწილობრივ მაინც დაიკმაყოფილონ ინტერესები“.

კონფლიქტის მოგვარების რომელი სტრატეგიაა ზემოთ აღწერილი?

ა) კონკურენცია

ბ) განრიდება

გ) თანამშრომლობა

დ) შეგუება

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 16

ბულინგი საკმაოდ გავრცელებული და მწვავე პრობლემაა სკოლაში. ამიტომ მასწავლებელმა, სასურველია, წინასწარ მიიღოს ზომები კლასში ბულინგის თავიდან ასარიდებლად.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება **ვერ უზრუნველყოფს** კლასში ბულინგის პრევენციას?

ა) მასწავლებელმა კლასში უნდა გამოაკრას სხვადასხვა საინფორმაციო პლაკატი წარწერებით, რომლებიც დააფიქრებს ბავშვებს სხვათა გრძნობებისა და ემოციების შესახებ.

ბ) მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს კლასში როლური თამაშები, სადაც აქცენტი გაკეთდება ბულერისა და მისი მსხვერპლის ფიქრებსა და ემოციებზე.

გ) მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოსწავლეებს, რომ არ შეიძლება იყო ბულინგის ფაქტის პასიური მოწმე, მნიშვნელოვანია დაჩაგრულის მხარდაჭერა თითოეული ჩვენგანის მხრიდან.

დ) მასწავლებელმა უნდა დააწესოს კონტროლი და აქტიური მოსწავლეების დახმარებით აწარმოოს ჩანაწერები ბულინგში შემჩნეულ მოსწავლეებზე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 17

კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიაა საკლასო წესებისა და პროცედურების შემუშავება. საკლასო წესების შემუშავების დროს საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.

ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება/მოსაზრებებია მართებული?

ქცევის წესები შედეგიანია მაშინ, როდესაც:

I. წესების ჩამონათვალში მასწავლებელს და მოსწავლეებს შეაქვთ მხოლოდ პრობლემური ქცევები, რომელთა აკრძალვასაც გეგმავენ წლის განმავლობაში.

II. წესები მოსწავლეების მონაწილეობით არის შერჩეული და ემსახურება მათი როგორც სასწავლო, ასევე სოციალური ხასიათის მიზნების მიღწევას.

III. წესების ჩამონათვალი შეზღუდულია და მოსწავლეებს არ უჭირთ მათი დამახსოვრება, მასწავლებელს კი უადვილდება მათი რეალობაში გატარება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 18

მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა. ამისათვის მან მოსწავლეებს დაავალა, რომ წინასწარ დამოუკიდებლად მოეძიებინათ ინფორმაცია ინტერნეტში კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით და გაეცათ პასუხი მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე.

მასწავლებლის მიერ მიცემული დავალება დასახული მიზნის:

ა) **ადეკვატურია.** მოსწავლის მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, მისი დახარისხება და მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვებისათვის მოძიებული ინფორმაციის მისადაგება ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებას.

ბ) **ადეკვატური არ არის.** მოსწავლის მიერ მასალის დამოუკიდებლად მოძიება ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაუფლებას და არა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.

გ) **ადეკვატურია**. მასალის მოძიებაზე დამოუკიდებლად მუშაობა მოსწავლეს აუმაღლებს პასუხისმგებლობის გრძნობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მისი სააზროვნო უნარების განვითარებას.

დ) **ადეკვატური არ არის.** მოსწავლე მიმართავს მშობლებს დასახმარებლად და მიიღებს უკვე დახარისხებულ ინფორმაციას, რაც ვერ დაეხმარება მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაში.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 19

ბიოლოგიის მასწავლებელმა ახსნა ახალი თემა: პეპლის განვითარების სტადიები.

ჩამოთვლილი გრაფიკული ორგანიზატორებიდან რომელი დაეხმარება მოსწავლეებს აღნიშნული საკითხის უკეთ გაგებასა და ათვისებაში?

ა) ვენის დიაგრამა

ბ) დროის ცხრილი

გ) კორნელის გრაფა

დ) სიტყვების რუკა

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 20

მოსწავლეს უჭირს საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. ასეთ დროს მასწავლებელმა მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესის მხარდასაჭერად გარკვეული სტრატეგიები უნდა გამოიყენოს.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა/აქტივობები შეუწყობს ხელს მოსწავლის სწავლის თვითრეგულაციის უნარის განვითარებას?

I. მასწავლებელმა შეაფასოს მოსწავლე მაღალი ნიშნით, როდესაც ის ზედმიწევნით ასრულებს მის მითითებებს.

II. მასწავლებელმა დაავალოს მოსწავლეს, შეაფასოს საკუთარი ნამუშევარი, შემდეგ კი შეადაროს ის მასწავლებლის შეფასებას.

III. მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს, რომ მან დაისახოს მიზნები და აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 21

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მოსწავლე, რომელსაც საბაზისო მათემატიკური ცნებების ათვისება უჭირს, მათემატიკის გაკვეთილზე ყოველთვის ღელავს და ემოციურად არასტაბილურია. მორიგი საკლასო წერის დროს მასწავლებელმა, ემოციური მხარდაჭერის მიზნით, მოსწავლეს დავალება გაუმარტივა და სწორად შესრულების გამო შეაქო.

მასწავლებლის ქმედება მიზნის:

ა) **ადეკვატურია,** რადგან მოსწავლის ემოციური სტაბილურობისათვის აუცილებელია მისთვის ადვილი დავალებების მიცემა, ნებისმიერ შემთხვევაში მაღალი ქულის დაწერა და ამით მისი წახალისება.

ბ) **არ არის ადეკვატური,** რადგან ყველა მოსწავლეს თანაბარი სირთულის დავალებები უნდა ჰქონდეს და ისინი ერთნაირად შეფასდნენ, რათა გამორჩეულობის განცდამ უარყოფითად არ იმოქმედოს რომელიმე მათგანზე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

გ) **ადეკვატურია,** რადგან, როდესაც მოსწავლეს დავალების შესრულება უადვილდება, ის ხდება უფრო თავდაჯერებული და მიღწეული წარმატების განცდა ეხმარება შფოთვის დონის შემცირებაში.

დ) **არ არის ადეკვატური,** რადგან დავალების გამარტივება ხელს შეუშლის მოსწავლეს, რომ მათემატიკური საკითხების შესწავლის პროცესში თანმიმდევრულად დაეუფლოს საბაზისო ცნებებს.

დავალება N 22

აქტიური მოსმენის ტექნიკის გამოყენება აუმჯობესებს ურთიერთგაგებას და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას.

ჩამოთვლილთაგან რომელია აქტიური მოსმენის **ყველაზე კარგი** ნიმუში?

ა) მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლემ მოკლე დროში მოასწროს დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, რათა უკეთ შეაფასოს მისი ცოდნა.

ბ) მასწავლებელი ყურადღებით უსმენს მოსწავლეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა პასუხი არასწორია, რათა არ აგრძნობინოს, რომ ის შეცდა.

გ) მასწავლებელი არ აწყვეტინებს მოსწავლეს პასუხს და აძლევს დროს მოსაფიქრებლად, რათა მან შეძლოს ცოდნის დემონსტრირება.

დ) მასწავლებელი მოსწავლეს უსვამს დამატებით კითხვებს, რათა შეამოწმოს, რამდენად სწორად გაიგო მისი ნათქვამი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 23

მოსწავლე არასასურველი ქცევით ცდილობს, თავი აარიდოს საკლასო აქტივობას.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია/სტრატეგიები იქნება ეფექტიანი მოსწავლის არასასურველი ქცევის პრევენციისათვის?

I. მასწავლებელი მოსწავლის ქცევის ანალიზის საფუძველზე არკვევს, თუ რატომ ცდილობს ის, თავი აარიდოს აქტივობას და შეურჩევს შესაძლებლობებზე მორგებულ დავალებებს.

II. მასწავლებელი მოსწავლეს აქებს იმის მიუხედავად, იღებს თუ არა მონაწილეობას საკლასო აქტივობებში და ცდილობს, გაუღვივოს მას სასწავლო პროცესში ჩართვის მოტივაცია.

III. მასწავლებელი მოსწავლეს განუსაზღვრავს შესასრულებელი დავალებების რაოდენობას, აცნობს აქტივობების განრიგს და თითოეული მათგანის სწორად შესრულების შემთხვევაში წაახალისებს მას.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 24

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგიის/სტრატეგიების გამოყენება უწყობს ხელს ინტელექტუალურად უსაფრთხო საკლასო გარემოს შექმნას?

I. მასწავლებელი ნებისმიერი შესაძლებლობის, აქტიურობისა და აკადემიური მიღწევის მქონე მოსწავლესთან იყენებს ერთნაირ მიდგომას.

II. მასწავლებელი ცდილობს, მინიმუმამდე დაიყვანოს მსჯელობისა და სწავლის პროცესში მოსწავლეების მიერ შეცდომების დაშვების ალბათობა.

III. მასწავლებელი ავლენს ინტერესს მოსწავლეთა ნებისმიერი, თუნდაც საეჭვო და დაუზუსტებელი ვარაუდების მიმართ.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 25

პროფესიული ქცევის წესებს, რომელთა დაცვაც მოეთხოვება მასწავლებელს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ, განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი.

პროფესიული ეთიკის კოდექსის მიხედვით მასწავლებლის რომელი ქმედება/ქმედებებია გამართლებული?

I. მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, მასწავლებელი ითავსებს მრჩევლის ფუნქციას და ეხმარება მას პირადი პრობლემების მოგვარებაში.
II. მასწავლებელი იჩენს განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზრუნვას ეთნიკური, რასობრივი და კულტურული უმცირესობის წარმომადგენელთა მიმართ.
III. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს მართებული რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების განსაზღვრაში.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს, ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 26

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია მასწავლებლის მიერ გამოყენებული სასწავლო აქტივობები, ხოლო B სვეტში სწავლების სტრატეგიები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

აქტივობა (A)	**სტრატეგია (B)**
I. ინგლისური ენის მასწავლებელმა კლასს გააცნო ახალი თემა – პროფესიები. მან მოსწავლეებს გაუნაწილა მასწავლებლის, ექიმისა და ინჟინრის როლები. მოსწავლეებმა შერჩეული პროფესიების მიხედვით თანაკლასელებს ინგლისურ ენაზე უამბეს თავიანთი ცხოვრების ერთი დღე.	ა) ანალოგია ბ) სიტყვების რუკა
II. ქართული ენის მასწავლებელმა კლასს წაუკითხა წინადადება და სთხოვა ამოეწერათ რაიმე სიტყვა, მოცემული კონტექსტის გათვალისწინებით სიტყვისთვის მიეწერათ განმარტება, მისი ანტონიმები და სინონიმები.	გ) პრეზენტაცია
III. გეოგრაფიის მასწავლებელმა მოსწავლეებს გაუნაწილა ქვეყნები და დაავალა თითოეული მათგანის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება და კლასისათვის გაცნობა.	დ) სიმულაცია

** შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

21	21a	22	23	24	25	26	27	28	29	29a	30	31	32	33	34	35	36	37	37a

დავალება N 27

ცხრილის A სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები, ხოლო B სვეტში უნარები, რომელთა განვითარებასაც შეუწყობს ხელს ეს აქტივობები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

აქტივობა (A)	**უნარი (B)**
I. მასწავლებელმა მოსწავლეებს ლიტერატურულ ნაწარმოებში ფაქტებისა და ავტორის დამოკიდებულების ამოცნობა ასწავლა. შემდეგ კი დაავალა იმავე ოპერაციის შესრულება ისტორიულ წყაროზე მუშაობის დროს.	ა) ტრანსფერის უნარის ბ) მეტაკოგნიტური აზროვნების უნარის გ) ანალიტიკური აზროვნების უნარის დ) შემოქმედებითი აზროვნების უნარის
II. ნაწარმოების დასრულების შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს ჩამოუწერა ორი პერსონაჟის კონკრეტული მახასიათებლები და მათ შორის მსგავსება-განსხვავების აღმოჩენა დაავალა.	
III. მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, მოერგოთ მეორეხარისხოვანი პერსონაჟის როლი და საკუთარი წარმოსახვით შეევსოთ ის მწირი ინფორმაცია, რომელიც მასზე ნაწარმოებში იყო მოცემული.	

** შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 28

მაქსიმალური ქულა - 3

მოსწავლის შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. არსებობს შეფასების ორი ფორმა: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მოსწავლეთა ეფექტიანი სწავლებისათვის აუცილებელია, რომ მასწავლებელი მათ სწორად იყენებდეს.

- აღწერეთ, როგორი უნდა იყოს ეფექტიანი განმავითარებელი შეფასება.
- დაასაბუთეთ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა სწავლების პროცესში.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

„To: ltakunman@beecherschool.edu

Cc: jonsadd@philipsacademy.edu; amandasaadd@copperbeech.org

Fr: melissa.albans@rmail.com

Subject: ჯეკ სადი

ბატონო დირექტორო!

გუშინ ვესაუბრე ამანდა და ჯონ სადებს და მათ წუხილი გამოთქვეს იმის გამო, რომ ჯეკმა ჩვენს ვაჟს, ჯულიანს მუშტი დაარტყა. ხომ არ არის ჯეკის მოულოდნელი აგრესიული ქმედება იმის შედეგი, რომ მის ჯერაც სუსტ მხრებს მეტისმეტად მძიმე ტვირთი დააწვა? კერძოდ, საგანგებო საჭიროებების მქონე ახალი მოსწავლე მყავს მხედველობაში, რომელსაც ჯეკი გამოესარჩლა. იქიდან გამომდინარე, რომ ბიჩერის სკოლა ინკლუზიური სკოლა არ გახლავთ, ბევრ მშობელს, და მათ შორის მეც, ჩვენს სკოლაში ამ ბავშვის მიღება სერიოზულ შეცდომად მიგვაჩნია.

საუკეთესო სურვილებით, მელისა პერპერ ალბანსი“

რ.ჯ. პალაციო „საოცრება“

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

- აუხსენით მშობელს, რა პოზიტიური შედეგი აქვს ინკლუზიურ განათლებას ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებისათვის.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

დავალება N 30

მაქსიმალური ქულა - 3

გაკვეთილის თემაა „ჰაერის დაბინძურება სამყაროში“. მასწავლებელმა გადაწყვიტა გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენება, მან კლასი ორ ჯგუფად გაყო. ერთ ჯგუფს დაავალა იდეებისა და ვარაუდების ჩამოყალიბება, მეორეს კი შერჩეული იდეების განხილვა და ანალიზი. განსახილველი საკითხი, რომლის ირგვლივაც მოსწავლეებს უნდა ემსჯელათ, ამგვარად იყო ფორმულირებული: „შენ როგორ მოიქცეოდი, ეს პრობლემა რომ აგვეცილებინა თავიდან?“

- აღწერეთ გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენების დადებითი მხარე.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს, ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 31

ცხრილის B სვეტში მოცემულია მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის საფეხურები, ხოლო A სვეტში მათი აღწერები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

აღწერა (A)	მოთხოვნილება (B)
I. ამ საფეხურზე ადამიანის მთავარი მიზანია საზოგადოებაში აღიარებისა და გარკვეული რეპუტაციის მოპოვება.	ა) უსაფრთხოების ბ) თვითრეალიზაციის გ) მიკუთვნებულობის დ) თვითპატივისცემის
II. ამ საფეხურზე ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კომფორტისა და უშფოთველობის განცდა, როგორც ფიზიკური, ისე ემოციური სტაბილურობა.	
III. ამ საფეხურზე ადამიანი ცდილობს, დაძლიოს მარტოობა და თავი დაიმკვიდროს გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში. მისი მთავარი სურვილია, ჰყავდეს მეგობრები.	

** შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

ინსტრუქცია

არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხებიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 32

ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, ბავშვის კოგნიტური განვითარების ხელშეწყობა გულისხმობს მის გადაყვანას განვითარების აქტუალური ზონიდან უახლოეს ზონაში. ამ პროცესში პედაგოგი გარკვეულ დამხმარე საშუალებებს იყენებს, რასაც სკაფოლდინგი ეწოდება.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის მიერ სწავლების დროს სკაფოლდინგის გამოყენების მაგალითი/მაგალითები?

I. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს რთულ ამოცანას და თუ აღმოაჩენს, რომ უმრავლესობა ვერ ართმევს თავს დავალებას, დაფაზე წერს ამოცანის ამოხსნას.

II. მასწავლებელი რთულ ამოცანას მოსწავლეებისთვის რამდენიმე პატარა, უფრო მარტივ ნაწილად ყოფს და აძლევს მათ მითითებებს, როგორ უნდა შეასრულონ იგი.

III. მასწავლებელი დავალების შესრულების დროს ეტაპობრივად უმოწმებს მოსწავლეებს ნამუშევარს, აქებს პროგრესის გამო და აძლევს საჭირო რეკომენდაციებს დასასრულებლად.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 33

ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, ქცევის განმტკიცება ზრდის მისი გამოვლენის ალბათობას, რისთვისაც მნიშვნელოვანია განმამტკიცებლების ეფექტიანად გამოყენება.

რომელი ქმედება/ქმედებები მიუთითებს, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად მასწავლებელი სწორად იყენებს განმამტკიცებელ სტიმულებს?

I. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ქცევის უნივერსალური განმამტკიცებლები, რომელთაც სასურველი შედეგი მოჰყვება ნებისმიერი მოსწავლისათვის.

II. მასწავლებელმა მოსწავლეების გასამხნევებლად შეძლებისდაგვარად ხშირად უნდა გამოიყენოს გარეგანი განმამტკიცებელი სტიმულები.

III. ახალი ქცევის დასასწავლად მასწავლებელმა განმამტკიცებელი სტიმული განმეორებით უნდა გამოიყენოს სასურველი მიზნის მიღწევამდე.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 34

კლასმა ფიზიკაში კონკრეტული თემის შესწავლა დაასრულა. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა ჩაატარონ ექსპერიმენტი, ისინი ძველ ცოდნას ახალს დააშენებენ და თავად გააკეთებენ დასკვნებს.

ჩამოთვლილთაგან სწავლებისა და განვითარების რომელი თეორიის გამოყენებაა ასახული მოცემულ სიტუაციაში?

ა) დევიდ პერკინსის „თეორია ერთის“

ბ) კარლ როჯერსის „ჰუმანისტური“ თეორიის

გ) ჯერომ ბრუნერის „სპირალური კურიკულუმის“

დ) ალბერტ ბანდურას „სოციალური დასწავლის“ თეორიის

დავალება N 35

კონსტრუქტივიზმი გულისხმობს სწავლა-სწავლების პროცესის განსაკუთრებულ ხედვას და ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პრინციპს.

ჩამოთვლილთაგან რომელ პრინციპს/პრინციპებს უნდა დაეყრდნოს მასწავლებელი, რომელიც სწავლებას კონსტრუქტივისტული მიდგომით წარმართავს?

I. სწავლის მოტივაციის გასაღვივებლად მოსწავლე აუცილებლად უნდა ჩავრთოთ ძიების, რეალური ცხოვრებისეული პრობლემის გადაჭრის პროცესში.

II. მოსწავლის შემეცნებითი განვითარებისათვის აუცილებელია ვიზრუნოთ, რომ მისი ურთიერთობა წიგნთან იყოს უფრო ინტენსიური.

III. გონებრივი აქტივობის სტიმულირებისთვის ხელი უნდა შევუწყოთ მოსწავლეს, სტრუქტურირებულად გადმოსცეს შინაარსი, გამოთქვას ჰიპოთეზები.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 36

დიუის თეორიის თანახმად დასწავლა ეფექტურია:

ა) როდესაც მასწავლებელი წინასწარ განსაზღვრავს, რა მოტივები უდევს საფუძვლად მოსწავლის სწავლის პროცესს, რადგან მოტივაცია უზრუნველყოფს ჩართულობას.

ბ) როდესაც სწავლის პროცესში მოსწავლე იღებს რაიმე სახის ჯილდოს ან წახალისებას, რადგან გარეგანი რეაგირება განამტკიცებს მიღწეულს.

გ) როდესაც სწავლის პროცესი მოიცავს პრაქტიკულ ქმედებებს, რადგან მოსწავლე უკეთ სწავლობს, როცა საკუთარი ხელით ასრულებს მოქმედებებს.

დ) როდესაც მოსწავლე იღებს დაუყოვნებელ უკუკავშირს, რადგან ეს ეხმარება მას დროულად გამოასწოროს დაშვებული შეცდომები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

დავალება N 37

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 3

სურ. 1



სურ. 2

ექსპერიმენტატორი ბავშვის წინ ოთხ-ოთხ მონეტას ათავსებს ორ რიგად და ეკითხება: „რომელ რიგშია უფრო მეტი მონეტა? თუ მათი რაოდენობა თანაბარია?“ (სურ. 1). ბავშვი ადასტურებს, რომ რაოდენობა თანაბარია. შემდეგ ექსპერიმენტატორი ბავშვის თვალწინ პირველ რიგში მონეტებს შორის მანძილებს ზრდის და კვლავ ეკითხება: „რაოდენობა ისევ თანაბარია, თუ რომელიმე რიგში უფრო მეტი მონეტაა“ (სურ. 2). ბავშვი პასუხობს, რომ პირველ რიგში მონეტების რაოდენობა უფრო მეტია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a

- დაასახელეთ სტადია, რომელზეც ბავშვები, პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის თანახმად, მსგავს შეცდომებს უშვებენ.
- აღწერეთ ფაქტორი, რომელიც ამ თეორიის თანახმად ამგვარ შეცდომებს იწვევს.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20
21 21a 22 23 24 25 26 27 28 29 29a 30 31 32 33 34 35 36 37 37a